გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 54
2022 წლის 11 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის ორ ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი 1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2021 წლის მაისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	აპრილი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლეილა მამულაშვილი
2	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი ,,გორის" 2021 წლის მაისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	აპრილი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია გიორგი გოგშელიძე
3	გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ	აპრილი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ასმათ ტალახაძე
4	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გორის სერვისცენტრის ინფორმაცია 2021 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ	აპრილი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია მანუჩარ ლაფაჩი
5	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ,, მერიის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდანაციის განტოფილების" მიერ 2021 წლის მაისიდან გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში	მაისი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლეილა მამულაშვილი
6	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის " 2021 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	მაისი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია გიორგი გოგშელიძე

7	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“ -ს გორის სერვის ცენტრის ინფორმაცია 2021 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ	მაისი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
8	გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ა(ა)იპ გორის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს 2021 წლის შესრულებული ანგარიშის შეფასების შესახებ	მაისი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
9	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის , გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2021 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში	ივნისი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**
10	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2021 წლის აგვისტოდან განვლილი პერიოდის ანგარიში	ივნისი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიროგი გოგშელიძე**
11	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2021 წლიდან მომდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	ივნისი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
12	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბ ,,დილას“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ	ივნისი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**